შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№10 (10.018)

2-9 აპრილი, 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ბრალდებით ჩაკლული სიკეთე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა უკრაინელ ხალხს თანადგომა ომის პირველივე დღიდანვე გამოუცხადა. უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, ჰუმანიტარული აქციის ფარგლებში, დედოფლისწყაროში 40 000 ლარის ღირებულების ტვირთი შეგროვდა და გაიგზავნა. როგორც დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აცხადებენ, აქტივობა მოსახლეობისა და კერძო სექტორის მხრიდან საკმაოდ მაღალი იყო. ამიტომ ტვირთის მოცულობაც შესაბამისი აღმოჩნდა. ხელისუფლების წარმომადგენლები მადლობას უხდიან ყველას, ვინც გულთან ახლოს მიიტანა, გაითავისა უკრაინელი ხალხის ტკივილი და მათ თანადგომა ამ ფორმით გამოუცხადა.

მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და ქველმოქმედების მიღმა აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც მიიჩნიეს, რომ ზოგიერთებმა „უკრაინელების ჭირით იხეირეს“ და შეგროვილი ტვირთის ნაწილი თავიანთი სურვილისამებრ, არამიზნობრივად განკარგეს. ეს ვარაუდი არაერთ ადგილას მოვისმინეთ. მოსახლეობას აინტერესებს, მათ მიერ გაღებული დახმარება გაიგზავნა უკრაინაში, თუ მავანთ მართლაც არამიზნობრივად გამოიყენეს ის? - ამის გარკვევას გაზეთი „შირაქი“ შეეცადა.

ჩვენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს ანა კიკილაშვილს მივმართეთ, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული ტვირთის დახარისხების პროცესში.

-უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს ყველა ჩვენგანი ვადევნებთ თვალს. უკრაინელი ხალხის დასახმარებლად მთელი საქართველო დაირაზმა. ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობამაც გულთან ახლოს მიიტანა უკრაინელი ხალხის გასაჭირი და ომის პირველივე დღეებიდანვე დაიწყო პროდუქტებისა თუ ტანსაცმლის შეგროვება უკრაინაში გასაგზავნად. პროცესში აქტიურად ჩაერთნენ მერიისა და საკრებულოს, ორგანიზაციების და დაწესებულებების თანამშრომლები, ბიზნესმენები, რიგითი მოქალაქეები. ტვირთი გროვდებოდა მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის დარბაზში, ხდებოდა მისი აღრიცხვა. შეგროვილი პროდუქტი შემდგომში დასაწყობდა (დალაგდა) სახეობების მიხედვით, შეიფუთა სატრანსპორტოდ და ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელით უკრაინელი ხალხის დასახმარებლად გაიგზავნა. ეს საკმაოდ შრომატევადი პროცესი გამოდგა. უბრალოდ, წარმოიდგინეთ, თითოეული მოქალაქის მიერ კილოგრამობით მოტანილი პროდუქტების ჯერ დახარისხება, შემდგომ ყუთებში ჩალაგება, შეფუთვა, წარწერების მიკვრა და გასაგზავნად დატვირთვა. სათქმელად იოლია, მაგრამ ამის უკან დგას რამდენიმე ადამიანის უანგაროდ დაღვრილი ოფლი და გაწეული შრომა (გაიგზავნა 4500 კილოგრამი პროდუქტი). მერიის სახელით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ დედოფლისწყაროელს, ვინც გულთან ახლოს მიიტანა სხვისი გაჭირვება, თვითონ მოიკლო და სხვას მაინც გაუწოდა დახმარების ხელი, მადლობა ბავშვებს, სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ პროცესში. არ შემიძლია არ აღვნიშნო მიხეილ გურაშვილის, სოსო პოპიაშვილის, გია თემურაზოვის, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების მიერ უანგაროდ გაწეული შრომა, დიდი მადლობა მათ გვერდში დგომისათვის, მადლობა კულტურისა და სპორტის ცენტრის თანამშრომლებს, რომლებიც გვერდით გვედგნენ მთელი ამ პერიოდის მანძილზე და გვეხმარებოდნენ.

-ამის მიუხედავად, ხალხში მაინც გაჩნდა ეჭვი, რომ ტვირთის დახარისხების შემდეგ მისი საუკეთესო ნაწილი ვიღაცების სურვილისამებრ განაწილდა. რას იტყოდით ამ ბრალდებაზე?

-მეც მოვისმინე რამდენიმე ადამიანის მიერ გამოთქმული აღშფოთება: „ჩვენ უკრაინისთვის მოვაგროვეთ ტანსაცმელი და ამათ აქ დაარიგესო“. საქმე კი იმაში გახლავთ, რომ შეგროვილი ტანსაცმელი საკვებ პროდუქტთან ერთად გაიგზავნა თბილისში შემდგომი ტრანსპორტირებისთვის, მაგრამ უკან დაგვიბრუნეს. პროდუქტი გაიგზავნა, ტანსაცმელი-არა. მინდა გითხრათ, რომ სწორადაც მოიქცნენ, რომ დააბრუნეს. მოტანილი ტანსაცმლის დაახლოებით 10% იყო ე.წ. „კრემი“, გასაგზავნად ვარგისი, ახალი და ახალთან მიახლოებული, 20-25 % პირდაპირ დასაწვავი! დანარჩენი ნაწილი კი წაიღო ჩვენმა სოციალურად დაუცველმა მოსახლეობამ. ასევე სოფლების რწმუნებულებმა უზრუნველყვეს, რომ საჭირო დახმარება მიეღო იმას, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. რაც შეეხება ჭორებსა და მითქმა-მოთქმას. ეს ახალი არაა- ჭორაობს ის, ვისაც ხელი არასოდეს გაუტოკებია და ცხოვრებაში ერთი კეთილი საქმეც კი არ გაუკეთებია. რას ვიზამთ, ადამიანი ზოგჯერ უმადურიცაა, მადლობის მაგიერ მუდამ ეძებს უკმაყოფილების არა მიზეზს, არამედ საბაბს! მე და ჩემს მეგობრებს არ დაგვზარებია და მთელი თვის განმავლობაში აქტიურად ვშრომობდით, უკრაინელებსაც დავეხმარეთ და ჩვენს მოსახლეობასაც. უკრაინაში გასაგზავნი ტვირთიდან დარჩა მალფუჭებადი პროდუქტები, ასევე მსხვრევად ქილებში მოთავსებული არატრანსპორტირებადი საკვები. სწორედ ამ სახეობის პროდუქტის დახარისხება და განაწილება მოხდა დედოფლისწყაროს მოწყვლად კატეგორიაზე. მერის წარმომადგენლებთან შეთანხმებით საკვები გადაუნაწილდათ მრავალშვილიან და უკიდურესად გაჭირვებულ მოსახლეობას, ასევე მე და ჩემმა მეგობრებმა ტანსაცმლის ნაწილი გავუგზავნეთ სოფლებში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ვერ შეძლეს მუნიციპალიტეტის ცენტრში ამოსვლა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ტვირთის ის ნაწილი, რომლის გაგზავნაც ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა უკრაინაში, ჩვენს მოსახლეობას მოხმარებოდა. და რატომ უნდა გახდეს ეს ფაქტი განხილვის საგანი, თანაც ამ ფორმით? - რიტორიკულ კითხვას სვამს ანა კიკილაშვილი.



სიკეთის კეთებას ხმაური არ უხდებაო, ნათქვამია, მაგრამ როდესაც კეთილი საქმის ჩაწიხვლას ცრუ და უსაფუძვლო ბრალდებებით ცდილობენ, სიმართლე უნდა ითქვას. საქმეში კარგად ჩახედული ადამიანები კი ამ ფაქტის შეფასებისას ამბობენ, რომ ამ აჟიოტაჟის ატეხვითა და ჭორებით კეთილი საქმის გადაფარვას ცდილობენ სწორედ ისინი, ვისაც საქმის კეთება არ შეუძლია და სიკეთის მკეთებლებს თანამედროვე ფსიქოლოგიური იარაღით-დეზინფორმაციით ებრძვის.

ინგა შიოლაშვილი

თოჯინების თეატრის გასტროლი დაიგეგმა

28 მარტს თეატრის საერთაშორისო დღე აღინიშნება. სწორედ ამ დღეს გაირკვა, რომ კერძო თეატრების ხელშეწყობის პროექტს თეა წულუკიანის ინიციატივით, კულტურის სამინისტრო აფინანსებს. ამჯერად, ქვეყნის ათ ქალაქში სამინისტროს დაფინანსებით კერძო თეატრების გასტროლები დაინიშნა, რასაც ჯამში 230 000 ლარი მოხმარდება. ათ ქალაქს შორის, სადაც წლევანდელი ზაფხულის განმავლობაში სპექტაკლი გაიმართება, დედოფლისწყაროც მოხვდა.

როგორც **დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი** ილია მარტყოფლიშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას განმარტავს, კერძო თეატრების ხელშეწყობის ფარგლებში გამოცხადებული პირველი კონკურსის შედეგები უკვე ცნობილია. 13 მონაწილე თეატრიდან დაფინანსება 7-მა მოიპოვა და თითოეული მათგანი ათ წარმოდგენას გამართავს.

მარტყოფლიშვილის განმარტებით, პროექტის მიხედვით დედოფლისწყაროში საგასტროლოდ კერძო თოჯინების თეატრი სახელწოდებით „ჩვენი თეატრი“ ემზადება.

ილია მარტყოფლიშვილი: „თეა წულუკიანის მინისტრად დანიშვნის შემდეგ კულტურის სამინისტროს მიერ მუდმივად ცხადდება საგრანტო კონკურსები, რომლებიც შემოქმედებით ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება და ღონისძიებები გამართონ რეგიონებში. განსაკუთრებით ყურადღება ეთმობა ისეთ მხარეებს, სადაც ამის დეფიციტია. დაფინანსებასაც ისეთი ჯგუფები იღებენ, რომელთაც ამისი ფინანსური სახსრები თავად არ გააჩნია. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენამ გასულ წელს მინისტრის ამ ინიციატივით ორ ღონისძიებას უკვე უმასპინძლა და გედნიერი ვარ, რომ ეს საინტერესო პროექტი წელსაც გაგრძელდება.

თბილისში მოქმედი „ჩვენი თეატრი“ ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობებისგან დაკომპლექტებული კერძო თეატრია. ამ ჯგუფის საქმიანობას ვიცნობ და მინდა გითხრათ, რომ საკუთარ პროფესიაზე და საქმეზე უზომოდ შეყვარებული გუნდია. ისინი თოჯინების თეატრის, როგორც დარგის გადასარჩენად გაერთიანდნენ და ამ საქმეს ანაზღაურების გარეშე აკეთებენ. ხშირად სხვა საქმეზე მუშაობა და ხელფასის თოჯნების თეატრისთვის მოხმარებაც დასჭირვებიათ, თუმცა საქმისადმი დიდი სიყვარულის გამო არც ამაზე ამბობენ უარს. მინისტრის მხრიდან გამოხატული სახელმწიფოებრივი მიდგომა სწორედ ესაა, რომ ასეთი მიზნობრივი ჯგუფები მიიღებენ სახელმწიფო დაფინანსებას და რეგიონებს შემოივლიან. მართალია ეს ერთჯერადი დაფინანსებაა, თუმცა, მათი ხელშეწყობისა და გაძლიერებისთვის ეს ნაბიჯიც მნიშვნელოვანია. სპექტაკლის თარიღი ჯერ ცნობილი არ არის, სამომავლოდ დაზუსტდება, თუმცა, რაკი თოჯინების თეატრი განაწილდა დედოფლისწყაროში, ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სპექტაკლი საბავშვო იქნება. თოჯინების თეატრი დედოფლისწყაროშიც მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა და ჩვენი დიდი ხნის ოცნებაა, ადგილზე აღვადგინოთ, მაგრამ სანამ ამას შევძლებთ, სიამოვნებით ვუმასპინძლებთ სტუმრებს.პანდემიამდე გურჯაანის თოჯინების თეატრიც გვსტუმრობდა, თუმცა, მაშინ დასწრება ფასიანი იყო, ახლა კი მშობლებს შეეძლებათ შვილები წარმოდგენაზე უფასოდ მოიყვანონ. დეტალები დაზუსტებული არ არის, თუმცა, შესაძლოა სპექტაკლი ღია ცის ქვეშ, მოძრავი ავტომობილის ძარაზე გაიმართოს“.

თეატრის ხელმძღვანელი, ირაკლი ხოშტარია „შირაქს“ ეუბნება, რომ დედოფლისწყაროელი მაყურებლისთვის, სავარაუდოდ, სპექტაკლი „პატარა უფლისწული“ იქნება ნაჩვენები.

„ჩვენ ჯგუფელები ვართ და 2006 წლიდან ერთად მოვდივართ. მიზანი, რატომაც თეატრი შევქმენით იყო ის, რომ დავრჩენილიყავით პროფესიაში და ის გვეკეთებინა, რაც ვისწავლეთ. 12 წლის წინ დავამთავრეთ უნივერსიტეტი და სხვაგან ამის კეთების საშუალება არ მოგვეცა, ამიტომ გავერთიანდით და ჯერ სახელოსნო გავხსენით, შემდეგ კი თეატრი დავაარსეთ. აღმოჩნდა, რომ პანდემიის დროს გაცილებით მეტი დრო გვქონდა, რომ ამ საქმისთვის გვეზრუნა და ბევრი თოჯინა დავამზადეთ. ძალიან სახასიათო გამომივიდა ნიკალას თოჯინა. გულში ჩამწვდომია თავისი თვალებით, ნაკვთებით და ა.შ. ამ პროფესიის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, რადგან თეატრალურ უნივერსიტეტში მეთოჯინეობას უკვე აღარ ასწავლიან და

დღეს ძალიან ცოტანი დავრჩით. ჰონორარზე საუბარიც არ არის, ხშირად იქით ვხარჯავთ ფულს, რომ სპექტაკლი შედგეს“ - ამბობს ირაკლი ხოშტარია.

ამას გარდა, ამგვარი კონკურსის ფარგლებში სადადგმო და საგასტროლო ხარჯებით დაფინანსდა კიდევ 11 თეატრი, რომელთაც ჯამში 250 000 ლარი მოხმარდება.

გასულ კვირას კულტურის მინისტრი თეა წულიკიანი კახეთში იმყოფებოდა. სამინისტროს მმართველობაში შემავალი თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებთან გასვლითი სამუშაო შეხვედრა თელავის თეატრში გაიმართა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქართული თეატრის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის გზებს. კულტურის მინისტრი თითოეული სამხატვრო ხელმძღვანელისგან პირადად გაეცნო მის თეატრში არსებულ პრობლემებს და მოცემული პრობლემების გადაჭრაზე იმსჯელა, მათ შორის სამინისტროს მხარდაჭერით.

ერთ-ერთი საკითხი, რაზეც შეხვედრაზე გაიმართა მსჯელობა, არის თეატრების საკუთარი შემოსავლების განაწილება მათივე საჭიროებებზე და შემოსავლების პოტენციური წყაროების გაჩენა იმ მიზნით, რომ თეატრი არ იყოს დამოკიდებული სახელმწიფოზე და შემოქმედებითად განვითარება შეძლოს. ასევე, შეხვედრაზე კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან ერთად მსჯელობა გაიმართა უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლების რეფორმაზე, რათა სასწავლებლებმა გამოუშვან ისეთი პროფესიების კადრები და იმ რაოდენობის, რაც ქართულ კინოს და თეატრს სჭირდება.

თელავში ვიზიტის ფარგლებში თეა წულუკიანი, შეხვედრის მონაწილეებთან ერთად დაესწრო სსიპ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ სპექტაკლს „როცა ძალიან მოგენატრები“ და თეატრის დასს შეხვდა. ერთმოქმედებიანი დრამა „როცა ძალიან მოგენატრები“ თელავის თეატრისა და თავისუფალი თეატრის ერთობლივი სპექტაკლია, რომელიც რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა დადგა მწერლისა და დრამატურგის ირაკლი სამსონაძის მიერ სპეციალურად თელავის თეატრისთვის დაწერილი პიესის მიხედვით. სპექტაკლში მონაწილეობენ თელავის თეატრის მსახიობი ვანო იანტბელიძე და თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი პაატა გულიაშვილი. მხატვარი – მირიან შველიძე. მუსიკალური გაფორმება – ავთანდილ ვარსიმაშვილი. პიესაში გადმოცემულია მამა-შვილის ურთიერთობა მძიმე სოციალური და ეკონომიური პრობლემების ფონზე. სპექტაკლი სევდიანი ფსიქოლოგიური კომედიაა, თუმცა სრულდება ოპტიმისტურად.

სამუშაო შეხვედრა ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში

ჯერ კიდევ 2019 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა საზოგადოებას განათლების სისტემის კომპლექსური რეფორმის შემაჯამებელი პრეზენტაცია წარუდგინა.

რეფორმა განათლების სისტემის კომპლექსურ ცვლილებებს გულისხმობს და მოიცავს როგორც სკოლამდელ, ასევე, ზოგად, პროფესიულ, უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებას. განათლების რეფორმის ფარგლებში 2021-2023 წლებისათვის სასკოლო მზაობის პროგრამა უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს ყველა აღსაზრდელებისთვის. გარდა ამისა, დაინერგება ახალი სასწავლო პროგრამები და რესურსები, რომლებიც ინკლუზიური და სამოქალაქო განათლების პრინციპებს დაეფუძნება. შემუშავდება და დამტკიცდება მასწავლებელთა სერტიფიცირების ახალი მოდელი და სახელფასო პოლიტიკა. ზოგადი განათლების მიმართულებით შემუშავდა უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზე, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებაზე, სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტირებასა და წიგნიერებაზე ორიენტირებული „ახალი სკოლის“ მოდელი. იგი სკოლების ავტონომიასა და დეცენტრალიზაციას, უნიფიცირებული მიდგომიდან დიფერენცირებულ მიდგომაზე გადასვლას, სკოლის დირექტორის ლიდერად ჩამოყალიბებას, გადამზადებულ პედაგოგებს გულისხმობას. „ახალი სკოლის“ მოდელის დანერგვა ეტაპობრივად 2024 წლისათვის ყველა სკოლაში

მოხდება.

„ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში სკოლებში განახლდება კომპიუტერული კლასები, რომლებიც აღიჭურვება ინტერნეტითა და WiFi-ით. პირველკლასელთა ნეტბუქები მოდიფიცირდება თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსებით (მაგ. Minecraft Education Edition, Scratch და სხვა). განვითარდება ვებგვერდის el.ge, სადაც თავმოყრილი იქნება საგანმანათლებლო და შემეცნებითი რესურსები. დაინერგება „სთრიმინგ“ გაკვეთილები. საინტერესო სპიკერები ონლაინ რეჟიმში ჩაატარებენ ლექციათა ციკლს, რომელიც მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და მათემატიკური და ალგორითმული უნარების გაღრმავებაზე იქნება ორიენტირებული. განათლების რეფორმა ყველა მიმართულებისათვის კომპლექსურ და მათ შორის ინტერდისციპლინურ მიდგომებს გულისხმობს, რაც განათლების ერთიანი სისტემის ტრანსფორმაციას უზრუნველყოფს.

ზოგადი განათლების რეფორმა უკვე მესამე ეტაპზე გადავიდა. პირველ ორ ეტაპზე დედოფლისწყაროდან ჩართულები იყვნენ ზემო ქედის, გამარჯვებისა და პირველი საჯარო სკოლები, მესამე ეტაპზე კი მოხდა მეორე საჯარო სკოლისა და არხილოსკალოს ჩართვა. როგორც ზოგადი განათლების რეფორმის კოორდინატორმა დედოფლისწყაროში, თამარ ხარაშვილმა გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აღნიშნა, მასწავლებელთა დიდი ინტერესიდან და სურვილიდან გამომდინარე „ზოგადი განათლების რეფორმის“ ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ფიზიკურ სივრცეში რაიონული შეხვედრა ახალი სკოლების გეოგრაფიის პედაგოგებისთვის. მისივე თქმით, სამუშაო შეხვედრები პედაგოგების მხარდაჭერაზეა ორიენტირებული და არ ისახავს მიზნად მხოლოდ მონიტორინგს.

შეხვედრა ჩაატარა „ზოგადი განათლების“ რეფორმის ექსპერტმა თამილა თამაზაშვილმა. მისი თქმით, ამ რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება და მოსწავლეებზე საჭიროებების მორგებაა. წარმდგენებმა მადლობა გადაუხადეს სოფ. ხორნაბუჯის, სოფ.სამრეკლოს, სოფ. ოზაანის და სოფ. სამთაწყაროს პედაგოგებს შეხვედრაზე მობრძანებისთვის. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

მოამზადეს
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა
ხათუნა ბენაშვილმა

31 წელი საყოველთაო რეფერენდუმიდან!

ერთი თარიღის ორი უკიდურესობა!

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში გადაიდგმება სამართლებრივი ნაბიჯები, სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესასვლელად. მისი თქმით, რუსეთთან გაერთიანება რესპუბლიკის სტრატეგიული მიზანია. ამ ინფორმაციას რუსული გამოცემა „კომერსანტი“ ავრცელებს. გარდა ამისა, ოსური მედიით ვრცელდება ანატოლი ბიბილოვის მიმართვა, რომელშიც დე ფაქტო პრეზიდენტი ე.წ. ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობაზე ლაპარაკობს.

„მიმაჩნია, რომ რუსეთთან გაერთიანება ჩვენი სტრატეგიული მიზანია. ჩვენი გზაა“, - განაცხადა ბიბილოვმა (ციტატა „ერთიანი რუსეთის“ ვებგვერდიდან), რომლის თანახმად, სამხრეთ ოსეთი ამ გზაზე იმოძრავებს. „უახლოეს მომავალში ჩვენ გადავდგამთ შესაბამის იურიდიულ ნაბიჯებს. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა იქნება მისი ისტორიული

სამშობლოს - რუსეთის ნაწილი“, - აღნიშნა მან. ბიბილოვმა გაიხსენა, რომ 2014 წელს, როცა ყირიმი „რუსეთის ნაწილი“ გახდა, „სამხრეთ ოსეთს“ რუსეთთან გაერთიანების შესაძლებლობა ჰქონდა. „მაშინ ჩვენ ხელიდან გავუშვით შესაძლებლობა, მაგრამ ამის გამეორებას ვერ დავუშვებთ“, - აღნიშნა ანატოლი ბიბილოვმა.

ამჟამად ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ პრეზიდენტი წინასაარჩევნო კამპანიას ატარებს. მას სურვილი აქვს, რომ მეორე ვადით დაიკავოს ეს თანამდებობა. ამჟამინდელი კამპანია 5 წლის წინანდელი კამპანიისგან არაფრით განსხვავდება. მაშინაც ბიბილოვის მთავარი მესიჯი რუსეთის ფედერაციის ფარგლებში სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის ერთ რესპუბლიკად გაერთიანება იყო, თუმცა, მისი ეს დანაპირები 5 წლის განმავლობაში ვერ შესრულდა და ახლაც იმავე მესიჯებით გამოდის. ოკუპირებული აფხაზეთისგან განსხვავებით, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მცირეა იმ სამოქალაქო აქტივისტების რაოდენობა, რომლებიც რუსეთთან გაერთიანებას მხარს არ უჭერენ. მათი იდეაა ყველასგან დამოუკიდებელი ოსეთის რესპუბლიკის შექმნა. 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის არმიის საქართველოში შემოჭრის და რეგიონის ოკუპაციის შემდეგ, კრემლმა 26 აგვისტოს დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე.ნ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარა. აღიარების შემდეგ ოკუპირებულ რეგიონში განათავსა მე-4 საოკუპაციო სამხედრო ბაზა, სადაც რუსეთიდან ჩაყვანილი ჯარისკაცების გარდა, ადგილობრივი ჯარის პირადი შემადგენლობაც შეიყვანეს. ახლა ამ ბაზის შემადგენლობის ნაწილი, მათ შორის ცხინვალელი ახალგაზრდები, რუსეთის მხარეს, უკრაინის წინააღმდეგ იბრძვიან.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის და დე ფაქტო რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა გადაწვეს და გაანადგურეს ლიახვის ხეობის ქართული სოფლები, საქართველოს 30 ათასამდე მოქალაქე დევნილად იქცა. მას შემდეგ დე ფაქტო ხელისუფლებამ კრემლს მიერთების თხოვნით არაერთხელ მიმართა, თუმცა ოკუპირებული ტერიტორიის ანექსიისგან რუსეთი ჯერჯერობით თავს იკავებს.

ეს ყველაფერი კი ე.წ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა 31 მარტს, საქართველოში რეფერენდუმის ჩატარების დღეს გამოაცხადა. 31 მარტს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე ჩატარებული რეფერენდუმიდან 31 წელი გავიდა. შედეგების საფუძველზე უზენაესმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის აქტი და გაათავისუფლა საქართველო 70-წლიანი საბჭოთა ოკუპაციისგან. „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“, - წერია საქართველოს კონსტიტუციაში. საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები 4 აპრილს შეაჯამა, შედეგები კი 5 აპრილს გამოქვეყნდა პრესაში. ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ დაადგინა:



1991 წლის 31 მარტი

სარეფერენდუმო ბიულეტენი

თანახმა ხართ თუ არა,
აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა
1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?

დიახ — არა

***საქართველოს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 3 672 403;**

***რეფერენდუმის მონაწილეთა რიცხვი იყო 3 334 286, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 90,7 %-ს;**

***კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვი იყო 3 326 100, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 90,5%-ს;**

***სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტის, „დიახ” მომხრეთა რიცხვი იყო 3 295 493, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 99,08%-ს;**

***სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის, „არა” მომხრეთა რიცხვი იყო 16 917, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 0,51%-ს.**

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 347.175. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 61,27%-მა, კენჭისყრაში — 61,23%-მა. სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილეთა 97,73%-მა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 59,84%-ს. უარყოფითად გადაწყვეტას — 1,42%-მა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0, 87%-ს.

ცხინვალში, ყორნისისა და ჯავის რაიონებში რეფერენდუმი არ ჩატარებულა, მაგრამ საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რიცხვში გათვალისწინებულ იქნა ამ რეგიონის ამომრჩეველთა რაოდენობა. ცხინვალის რაიონში რეფერენდუმი ჩატარდა შვიდ სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 11376 იყო. გაიცა 10182 ბიულეტენი, რომელთაგან ორი ბათილად იქნა ცნობილი. სარეფერენდუმო კითხვას დადებითი პასუხი გასცა 10180-მა ამომრჩეველმა.

ეს იყო უკანასკნელი რეფერენდუმი, რომელიც ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ჩათვლით. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას სულ, ჯამში, 3 მლნ 295,5 ათასმა ადამიანმა მისცა ხმა, უფრო ზუსტად, ამდენმა ამომრჩეველმა უპასუხა „დიახ“ სარეფერენდუმოდ გამოტანილ შეკითხვას: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე? აქედან გამომდინარე, სწორედ ამ ისტორიული წარსულის ფონზე ე.წ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის განცხადება კი, ნამდვილად ყველანაირ ლოგიკურ განსჯას და საღ აზრს მოკლებულია. აფხაზეთი და სამაჩაბლო ყოველთვის იყო, არის და იქნება საქართველოს ისტორიულად განუყოფელი ნაწილი.

რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე გაიტაცეს

რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა ოკუპირებულ სოფელ ზემო არცევის მიმდებარედ საქართველოს მოქალაქე უკანონოდ დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

გატაცებული პირი საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი ლევან მაჩაბელია.

„აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს უკანონოდ დაკავებული პირი მოქმედი სამხედროა, სიმართლეს არ შეესაბამება. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ამოქმედებულია მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმი უკანონოდ დაკავებული პირების უმოკლეს ვადებში გასათავისუფლებლად.

უკანონო დაკავებების მავნე პრაქტიკა ზღუდავს თავისუფალი გადაადგილების ფუნდამენტურ უფლებას, მნიშვნელოვნად აუარესებს ადგილზე არსებულ უსაფრთხოების გარემოს და საფრთხეს უქმნის რეგიონში არსებულ მდგომარეობას”, — აღნიშნავს სუს-ი განცხადებაში.

საკითხთან დაკავშირებით უკვე გაავრცელა განცხადება ე.წ. უშიშროების კომიტეტმა ცხინვალში, სადაც წერია, რომ სამხედრო პირი ოკუპირებულ ტერიტორიაზე პროვოკაციის მოწყობას გეგმავდა და არარსებული საზღვარი სწორედ ამ მიზნით გადაკვეთა.

„მეც შვილი ვარ!“ ანუ მემკვიდრეობა გენდერული ნიშნით



რა პრინციპით ნაწილდება მშობლების ქონება შვილებზე, რა შემთხვევაში არ აქვთ წილის მოთხოვნის უფლება და რა დროს იცნობა პირი ულირს მემკვიდრედ ? ამ საკითხს განიხილავს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი, ნიკა მალედანი.

- მშობლის სიცოცხლეში ქონების განაწილება მის ნებაზეა დამოკიდებული და არანაირი ვალდებულება არ აქვს, წილი შვილებს გადასცეს. ადამიანს სიცოცხლეში ქონებაზე საკუთრების უფლება აქვს და თავისი სურვილის შესაბამისად განკარგავს. რაც შეეხება გარდაცვალებას, თუ გარდაცვლ პირს საკუთრებაში აქვს ქონება, ის მემკვიდრეობით ნაწილდება. მემკვიდრეობის განაწილება შეიძლება მოხდეს ორი საფუძვლით - ანდერძით და კანონით. თუ ანდერძი არ არსებობს, ასეთ შემთხვევაში, ყურადღება კანონით მემკვიდრეების რიგითობას ექცევა. კანონით, პირველი რიგის მემკვიდრეები არიან გარდაცვლილი პირის მშობლები, მეუღლე და შვილები. აქიდან გამომდინარე, ქონება ყველა მათგანზე თანაბრად ნაწილდება.

- თუ მშობელი მხოლოდ ერთ შვილს უტოვებს საკუთარ ქონებას, სამართლებრივად არსებობს ბერკეტი, რომ სხვა შვილებმაც მოითხოვონ წილი?

- როდესაც პირი ანდერძით მხოლოდ ერთ შვილს უტოვებს ქონებას, ასეთ შემთხვევაში დანარჩენ შვილებს შეუძლიათ გამოიყენონ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება. პირველი რიგის მემკვიდრეებს, რომლებიც, როგორც ვთქვი, არიან მეუღლე, მშობლები და შვილები, უფლება აქვთ მოითხოვონ მემკვიდრეობიდან სავალდებულო წილი. სავალდებულო წილი კი არის იმ წილის ნახევარი, რომელიც მათ კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში ეკუთვნოდათ. პირობითად, თუ გარდაცვლილს ორი შვილი ჰყავს და ანდერძით მხოლოდ ერთს უტოვებს ქონებას, მეორე შვილს უფლება აქვს, მისთვის კანონით მემკვიდრეობით გათვალისწინებული წილის ნახევარი მოითხოვოს.

- საქართველოში ხშირად მშობლების სახლი და სხვა ქონება ბიჭ შვილებს რჩებათ, სამართლებრივად ეს სწორია? ქონების განაწილებისას აქვს მნიშვნელობა, შვილი ბიჭი იქნება თუ გოგო?

- თუ პირი სიცოცხლის პერიოდში ანაწილებს საკუთარ ქონებას ჩუქებით, ასეთ შემთხვევაში, უფლება აქვს, ვისაც უნდა, იმას აჩუქოს თავისი წილი. გარდაცვალების შემდეგ, როდესაც შვილებს შორის მემკვიდრეობის განაწილება ხდება, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს სქესს.

- უძრავი ქონების, მაგალითად, სახლის შემთხვევაში როგორ ხდება განაწილება?

- შვილები თანამესაკუთრეებად დარეგისტრირდებიან. კანონით მემკვიდრეობის დროს ყველა შვილს სახლზე თანაბარი უფლება ექნება და მათი ნებაა, როგორ განკარგავენ ამ ქონებას. უნდათ, დაიტოვებენ საერთო საკუთრებაში, გააჩუქებენ ერთმანეთში ან თანხის სანაცვლოდ დათმობენ, ეს შეთანხმების საგანია. თუ ვერ თანხმდებიან, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა თანასაკუთრების სასამართლოს გზით გამიჯვნას მიმართონ. ორი ტიპის გამიჯვნა არსებობს. ერთია ნატურით გამიჯვნა. თუ შესაძლებელია, სახლი ისე დაიყოს, რომ რამდენიმე თანაბარი ზომის იზოლირებული საცხოვრებელი შეიქმნას, რომლებსაც ერთმანეთთან კავშირი არ ექნებათ, შეუძლიათ, ასე გამიჯნონ და ცალ-ცალკე საკუთრებად დაარეგისტრირონ. ხოლო, თუ ესეც ვერ ხერხდება, ასეთ შემთხვევაში თანამესაკუთრეთა ინიციატივით უნდა მომზადდეს ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ ნატურით ქონების გაყოფა შეუძლებელია, სახლი იყიდება და თანხა თანამესაკუთრეებს შორის თანაბრად იყოფა.

- თუ მშობლები განქორწინებულები არიან, შვილს ორივე მხარეს შეუძლია მოსთხოვოს ქონების წილი?

- განქორწინება მემკვიდრეობას ხელს არ უშლის. პირი ერთი მშობლის მემკვიდრეცაა და მეორისაც. შესაბამისად, ორივეს ქონებაზე ექნება მემკვიდრეობის მიღების უფლება. თუ სიცოცხლეში მშობელი ერთ შვილს ჩუქნის საკუთარ ქონებას, სხვებს წილის მოთხოვნის უფლება აღარ ექნებათ.

- მამის ან დედის ქონების წილი თანაბრად ნაწილდება სხვადასხვა ქორწინებიდან შვილებზე?

- სხვადასხვა ქორწინებიდან შვილები ერთი ტიპის მემკვიდრეები არიან. არა მარტო სხვადასხვა ქორწინებიდან, არამედ ნაშვილები პირიც გათანაბრებულია ბიოლოგიურ შვილთან, მემკვიდრეობის თვალსაზრისით.

- ზოგადად, რისი მოთხოვნის უფლება აქვთ ან არ აქვთ შვილებს მშობლების ქონებიდან?

- გარდაცვალების მომენტში პირის სრულ ქონებაზე შვილებს აქვთ მემკვიდრეობის მიღების უფლება, თავიანთი წილის ფარგლებში. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველი რიგის მემკვიდრეები არიან ასევე პირის მეუღლე და მშობლები. შესაბამისად, ქონება მათზეც თანაბრად ნაწილდება.

- როდესაც ნათესავი ქონებას უტოვებს სხვა ადამიანს და არა პირდაპირ ნათესავს ან შვილს, რა უფლებები აქვს ამ დროს უშუალო ნათესავს, შვილს?

- ამ შემთხვევაშიც იგივე პრინციპი ვრცელდება. როგორც აღვნიშნე, სავალდებულო წილი მხოლოდ გარდაცვლილის შვილებზე, მეუღლესა და მშობლებზე ვრცელდება და მხოლოდ მათ აქვთ მოთხოვნის უფლება. ხოლო, თუ პირი სიცოცხლეში გააჩუქებს თავის ქონებას სხვაზე, წილს ველარ მოითხოვენ.

გარდა ამისა, არსებობს უღირსი მემკვიდრის ცნება. ამის დადგენა სასამართლოს კომპეტენციაა და ყოველი შემთხვევა ინდივიდუალურად განიხილება. არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას. ან კიდევ ჩაიდინა განზრახი დანაშაული და სხვა ამორალური დანაშაული მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ. თუ ეს გარემოებები სასამართლოზე დადასტურდება, პირი შეიძლება მიჩნეული იყოს უღირს მემკვიდრედ, რაც მას მემკვიდრეობის უფლებას საერთოდ ართმევს.

გარდა ამისა, შესაძლოა ადამიანმა თავის სიცოცხლეშივე მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს შვილზე, მეუღლეზე ან მშობლებზე სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ჩამორთმევა, თუმცა ესეც სასამართლომ, შესაბამისი არგუმენტების გათვალისწინებით, უნდა დაადგინოს.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

მეხსიერებაში ჩავარდნები და ტვინის მუშაობის გაუარესება

თუკი პანდემიის დაწყების შემდეგ შეამჩნიეთ, რომ უფრო ხშირად გავიწყდებათ, გიძნელდებათ საჭირო სიტყვების გახსენება ან ზოგჯერ საჭირო ნივთების ყიდვა გივარდებათ თავიდან – თქვენ მარტო არ ხართ. ჩვენ გარშემო უკვე ბევრი წუწუნებს მეხსიერების გაუარესებაზე. ამგვარი ყურმოკრული ინფორმაცია, რა თქმა უნდა, მტკიცებულებად ვერ გამოდგება, თანაც ჯერ ადრეა ისეთი კვლევებისთვის, რომელიც ჩვენი მეხსიერების ახლანდელ მდგომარეობას COVID-19-ის პანდემიამდე არსებულ მდგომარეობასთან შეადარებდა. თუმცა, ბრიტანეთში ალცჰაიმერის საზოგადოების მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში ოჯახის წევრების ნახევარმა აღნიშნა, რომ ამ დაავადების მქონე მათი ახლობლების მეხსიერება გაუარესდა მას შემდეგ, რაც იზოლირებული ცხოვრება დაიწყეს. სპეციალისტები იწყებენ კვლევას იმაზე, თუ როგორ იმოქმედა თვითიზოლაციამ ადამიანთა მეხსიერებაზე. უკვე აღირიცხა შემთხვევები, როცა ისეთი ძლიერი ავტობიოგრაფიული მეხსიერების მქონე ადამიანებმაც, ვისაც ახსოვთ, როგორ იყიდეს კინოთეატრის ბილეთი 20 წლის წინ, შეამჩნიეს, რომ რაღაცები ავიწყდებათ.



იზოლაცია და მეხსიერება

არსებობს რამდენიმე განსხვავებული ტიპის მეხსიერება. იმის დავიწყება, თუ რისი ყიდვა გსურდათ, განსხვავდება ვიღაცის სახელის ან იმის დავიწყებისაგან, თუ რა გააკეთეთ გასულ ოთხშაბათს. დაგროვილი ცოდნა იმაზე, თუ როგორ მუშაობს მეხსიერება, გვეხმარება ავხსნათ, რა გავლენას შეიძლება ახდენდეს ჩვენი ახალი, იძულებით შექმნილი გარემო ჩვენს მეხსიერებაზე. ყველაზე ცხადი ფაქტორი იზოლაციაა. კვლევებით გამყარებულია მოსაზრება, რომ სოციალური კონტაქტის ნაკლებობას შეუძლია, ტვინზე ნეგატიური გავლენა იქონიოს, განსაკუთრებით კი იმ ადამიანების შემთხვევაში, ვინც უკვე განიცდიან მეხსიერების გარკვეული სახის პრობლემებს. მაგალითად, ალცჰაიმერის მქონე ადამიანებში მარტოობის დონემ, შესაძლოა, დაავადების მომავალი განვითარებაც კი განსაზღვროს. რა თქმა უნდა, პანდემიის განმავლობაში ყველას არ უგრძვნია თავი მარტოსულად და ზოგიერთი კვლევის შედეგებმა ისიც აჩვენა, რომ მარტოობის განცდის დონემ დროთა განმავლობაში მატება შეწყვიტა.

მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, დიდად არ განვიცდიდეთ ადამიანური ურთიერთობების შემცირებას, მრავალი ჩვენგანი მაინც ჩვეულებრივზე ცოტა ადამიანს ვხვდებით. ჩვენ აღარ გვაქვს განსატვირთი საუბრები ოფისში ან წვეულებებზე, სადაც ერთ საღამოს უამრავ ადამიანთან ვიკვეთებოდით და ერთმანეთში ვცვლიდით სხვადასხვა ამბავს.მოვლენების განმეორება ისეთი მოგონებების გამყარებაში გვეხმარება, რომელთაც ეპიზოდური მეხსიერება ეწოდება. რადგან დღეს ძველებურად ველარ ვახდენთ სოციალიზაციას, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ეს მოგონებები ჩვეულებრივზე ნაკლებად ცხადი გახდა. და მაშინაც კი, როდესაც საუბრის შანსი გვეძლევა, ნაკლები რამ გვაქვს მოსაყოლი. დღესასწაულები უქმდება, ქორწილები განუსაზღვრელი დროით იწევს, კონცერტები და სპორტული ღონისძიებები დამსწრე აუდიტორიის გარეშე ტარდება – ამიტომაც გვაქვს უფრო ნაკლები სასაუბრო. ხოლო სამსახურში ძირითადად იმაზე ვლაპარაკობთ, თუ როგორ გვიშლის ნერვებს ტექნიკის გაუმართაობა.

მართალია, ამის ანაზღაურება ონლაინ სოციალიზაციით შეგვიძლია, თუმცა ეს საუბრები მაინც განსხვავებულია – ნაკლები შანსია, რომ ისეთ ექსტრემალურ პერიოდში, როგორიც პანდემიაა, ბოლო დროს თავს გადახდენილ უმნიშვნელო მოვლენებზე ვილაპარაკოთ.



შფოთვა და მეხსიერება

თუმცა, პრობლემა მხოლოდ სოციალიზაციის ნაკლებობაში არაა. მრავალი ადამიანი აღნიშნავს, რომ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ზოგად შფოთვას განიცდის. მაშინაც კი, როცა აფასებთ თქვენს იღბალს და ხედავთ, რომ ბევრს თქვენზე მეტად უჭირს, გრძნობა, თითქოს სამყარო მეტად საშიში გახდა, მაინც რთული მოსაშორებელია. ფსიქობიოლოგი, დეიზი ფანკორტი და მისი გუნდი დიდ ბრიტანეთის მასშტაბით ატარებენ კვლევას იმაზე, თუ როგორ გრძნობენ თავს ადამიანები პანდემიის დროს. მათი დაკვირვებით, მართალია, შფოთვის დონემ პიკს კარანტინის პირველი გამოცხადებისას მიაღწია და ამის მერე ნელ-ნელა კლება დაიწყო, თუმცა საშუალო დონე ჩვეულებრივზე მაინც მაღალია – განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ადამიანებსა და მათში, ვინც მარტო, ან ბავშვებთან, ან გარეუბანში ცხოვრობს და მცირე შემოსავალი აქვთ.

დადგინდა, რომ დეპრესიის მაჩვენებელი გაორმაგდა. დეპრესია და შფოთვაც დიდ გავლენას ახდენს მეხსიერებაზე. დარდი ტვირთავს ჩვენს აქტიურ მეხსიერებას, რაც გვიქვეითებს უნარს, გავიხსენოთ საყიდლების სია ან ის, თუ რა გვაქვს სამსახურისთვის გასაკეთებელი.

მონოტონურობა და მეხსიერება

ვითარება უფრო გაართულა მეხსიერების დამხმარე მინიშნებების ნაკლებობამ. თუკი სამსახურში წასასვლელად გარეთ გადიხართ, თქვენი გზა, ხედების ცვლილება და შუადღის შესვენებები ნაწილებად ყოფს თქვენს დღეს და გეხმარებათ, დროის მონაკვეთებთან დააკავშიროთ მოგონებები. მაგრამ როდესაც სახლიდან მუშაობთ, ყველა ონლაინ შეხვედრა, შესაძლოა, ერთი და იმავედ მოგეჩვენოთ, რადგან, ძირითადად, ერთსა და იმავე პოზაში სხედხართ ერთი და იმავე ეკრანის წინ. ჩვენი მოგონებები ერთმანეთისგან ნაკლებად განსხვავდება, ამიტომაცაა რთული მათი გამიჯვნა. კოგნიტური ნეირომეცნიერების პროფესორი ქეთრინ ლავდეი ამბობს, "იმის მცდელობა, გავიხსენოთ, თუ რა მოხდა მაშინ, როდესაც თითქმის არ არსებობს სხვაობა დღეებს შორის, იგივეა, ვცადოთ, დავუკრათ ფორტეპიანოზე, რომელსაც შავი კლავიშები არ აქვს".

ოფისში შეხვედრები სხვადასხვა ოთახში შეიძლება ტარდებოდეს, რის გამოც ისინი ჩვენს მეხსიერებაში განსხვავებულ გამცდილებებად იბეჭდებიან. დღეების ერთმანეთთან შერწყმის გარდა, იგივე მოსდით იმ საქმეებსაც, რომლებსაც ამ დროის განმავლობაში აკეთებდით. შეიძლება, ოფისში იმ ოთახისთვის ჩაგევლოთ, სადაც საქმიანი შეხვედრა გქონდათ, ეს კი გაგახსენებდათ, რომ იმავე საქმეზე მეილი უნდა გაგეგზავნათ. სახლში არ გვაქვს მინიშნებები, რომლებიც დაგვეხმარება ჩვენი სამუშაოს სხვადასხვა ასპექტის გახსენებაში. ყველა მოგონება დაკავშირებულია კომპიუტერთან ჯდომასთან. სამსახურში, შესაძლოა, გაგხსენებოდათ, ზუსტად სად მიმდინარეობდა საუბარი – ლიფტთან თუ ოფისის სამზარეულში – და ეს ამ დიალოგის გამოხმობაში დაგხმარებოდათ. ამასთან, შესაძლოა, არსებობდეს დამატებითი ფაქტორიც, რომელიც, ალბათ, არც კი შეგვიმჩნევია. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა გეოგრაფიულ ლოკაციაზე გარკვეული დროის გატარება გავლენას ახდენს ჩვენს ტვინსა და მეხსიერებაზე.

სახლისკენ დასაბრუნებელი გზის პოვნა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი გადარჩენისთვის. როგორც კი სახლს ვტოვებთ, ჩვენ ყურადღების მოკრებას ვიწყებთ. მნიშვნელობა არ აქვს, გზის გაკვლევას ტყეში ვცდილობთ თუ ქალაქში, ამ დროს აქტიურად მუშაობს ჩვენს ტვინში არსებული ზღვის ცხენის ფორმის უბანი, რომელსაც ჰიპოკამპი ეწოდება. ტაქსის მძღოლებზე ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ მათ, ვინც ქალაქის ყველა ქუჩა ზედმიწევნით იცოდნენ, უფრო დიდი ჰიპოკამპით გამოირჩეოდნენ. ჰიპოკამპის აქტიურობა ახალი ინფორმაციის დამახსოვრებასთანაა კავშირში. ნეირომეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ თუკი ადამიანთა ცხოვრება, ასაკის მატებასთან ერთად, უფრო ჩაკეტილი და ერთფეროვანი ხდება, მათი ჰიპოკამპის გამოყენების მაჩვენებელიც იკლებს. ამასთან, დადგინდა, რომ მძღოლებს, რომლებიც გზის დამოუკიდებლად გაკვლევის ნაცვლად სატელიტურ ნავიგაციას იყენებენ, ნაკლები სივრცული მოგონებები აქვთ, რომელთა წარმოქმნაც სწორედ ჰიპოკამპზეა დამოკიდებული.

გადაღლა და მეხსიერება

არ უნდა დაგვავიწყდეს ზოგადი გადაღლაც, რომელიც ასევე არ ეხმარება ჩვენს მეხსიერებას. ზუმის შეხვედრები დამღლელია, ზოგიერთი საქმე სახლიდან უფრო რთული გასაკეთებელია, ხოლო სადღესასწაულო შვებულებებმა აზრი დაკარგეს. რუტინის ნაკლებობასა და პანდემიასთან დაკავშირებულ შფოთვას ძილის დარღვევა შეუძლია. ეს ყველაფერი რომ გავაერთიანოთ, გასაკვირი აღარაა, რატომ ვართ მუდმივად დაღლილები. გადაღლა, შფოთვა, მინიშნებების ნაკლებობა და სოციალური ინტერაქციების შემცირება – ეს ის ფაქტორებია, რომელთა გამოც ზოგიერთი ჩვენგანი გრძნობს, რომ მეხსიერება ღალატობს.

რჩევები მეხსიერების გასაუმჯობესებლად:

თუკი პანდემიის გამო თვეების განმავლობაში დროის უმეტესი ნაწილი სახლში გაატარეთ, თქვენ დაკარგეთ ის დამატებითი სტიმულაცია, რომელიც სამყაროსთან უფრო აქტიურად ინტერაქციის დროს წარმოიქმნება.

*სასეირნოდ გასვლა, განსაკუთრებით კი ისეთ ქუჩებში, რომლებიც ჩვენთვის ნაცნობი არაა, დაეხმარება ჩვენს ტვინს ყურადღების მოკრებაში. თუმცა, უბრალოდ, გადაადგილებაც კი სასარგებლო შეიძლება იყოს. დაფიქრდით, რამდენად აუცილებელია, რომ ყოველი შეხვედრის განმავლობაში მაგიდასთან იყოთ მიჯაჭვული. თუ ეს მხოლოდ სატელეფონო ზარია, სცადეთ, ქუჩაში იაროთ და თან ილაპარაკოთ. მაშინაც კი, როცა სახლს უბრალოდ სასეირნოდ ვტოვებთ, ჩვენი ტვინი ყურადღების გამახვილებას იწყებს.

*ასევე, დარწმუნდით, რომ სამუშაო და დასვენების დღეები ერთმანეთში არ ირევა. ეს დაგეხმარებათ, დაძლიოთ დროის ის დამახინჯებული აღქმა, რაც ჩვენმა ახალმა ცხოვრებამ მოიტანა. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს დღეებს მრავალფეროვნება შევძინოთ, რაშიც შემოქმედებითი აზროვნება დაგვეხმარება.

*თუ გარეთ გასვლა არ შეგიძლიათ, უმჯობესია, სრულიად ახალი აქტივობით სახლში დაკავდეთ და შემდეგ უამბოთ ამის შესახებ სხვას, რათა მოგვიანებით უკეთესად გაიხსენოთ განხორციელებული აქტივობა.

*ყოველ საღამოს განვლილი დღის შეგნებულად გახსენება მოგონებების გამყარებაში დაგეხმარებათ. შეგიძლიათ, დღიურიც აწარმოოთ. ამ დღეების განმავლობაში ნაკლები რამ ხდება, რაც ჩანიშვნის ღირსია, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ერთ დღეს საინტერესო აღმოჩნდეს ამ მოგონებებისთვის თვალის გადავლება.

*თუკი გავიწყდებათ რაღაცების გაკეთება, მაშინ სიის შედგენამ და თქვენს ტელეფონზე შემახსენებლის დაყენებამ შეიძლება, იმაზე უკეთესად იმოქმედოს, ვიდრე წარმოგიდგენიათ.

*ასევე გამოიყენეთ წარმოსახვის უნარი – თუ გსურთ, გაიხსენოთ, რომ რძე, პური და კვერცხი გაქვთ საყიდი, წარმოიდგინეთ, თუ როგორ სტუმრობთ საჭირო დახლებს ზუსტად იმ მაღაზიაში, რომელში წასვლასაც გეგმავთ. როდესაც ამ მაღაზიას მიაკითხავთ, წარმოდგენილი შოპინგი მოგაგონდებათ და უფრო დიდი შანსია, რომ ყველაფერი გაიხსენოთ, რისი ყიდვაც გჭირდებათ.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

კვლავაც საგანგაშო სტატისტიკა

რატომ ვერ კონტროლდება საგზაო უსაფრთხოება?

2021 წელს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა 2020 წლის მაჩვენებელს 17%-ით აღემატება

საგზაო უსაფრთხოება ქართული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, და ის, ჯანდაცვისა და სოციალურ პრობლემებთან ერთად, ეკონომიკის განვითარებასაც აფერხებს. ადამიანური ტრაგედიები, დაკარგული სამუშაო საათები, მატერიალური, ფინანსური ზარალი, გაზრდილი სამედიცინო ხარჯი — ეს არის პრობლემების მცირე ჩამონათვალი, რომელსაც საგზაო უსაფრთხოების დარღვევა იწვევს.

2021 წელს ავტოავარიის შედეგად საქართველოში სულ 449 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, 85 ქვეითი იყო. ავტოავარიით 16 წლამდე ასაკის 9 პირი გარდაიცვალა — ესეც მხოლოდ ერთი წლის სტატისტიკაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2021 წელს სულ 5863 ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა, რა დროსაც ადამიანები დაშავდნენ ან დაიღუპნენ. ცალკეა იმ ავტოავარიების სტატისტიკა, რომელზეც გამოძიება არ დაწყებულა და ავტოსაგზაო შემთხვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად შეფასდა. ერთი წლის განმავლობაში საქართველოში ავტოავარიის შედეგად სულ 7705 ადამიანი დაშავდა.

შსს-ს სტატისტიკის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით 2021 წელს 61 და მეტი წლის ასაკის 62 ადამიანი გარდაიცვალა ავტოავარიის შედეგად. მათივე ცნობით, 2021 წლის სამივე კვარტალში მომხდარი საგზაო შემთხვევების რაოდენობა 2020 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს 17%-ით აღემატება, ამასთანავე, ლეტალობა 9,4%-ით შემცირდა, ხოლო სხეულის დაზიანება 15%-ით გაიზარდა.

„2021 წლის მესამე კვარტალში (ივლისი-აგვისტო-სექტემბერი) მოხდა 1573 საგზაო შემთხვევა, დაიღუპა - 116 და დაზიანდა 2151 ადამიანი. 2020 წლის მესამე კვარტალთან შედარებით (ივლისი-აგვისტო-სექტემბერი) მიმდინარე წლის იგივე პერიოდში საგზაო შემთხვევები გაიზარდა 9.5%-ით, ლეტალობა შემცირდა 13,4%-ით, ხოლო სხეულის დაზიანება გაიზარდა 6,4%-ით. სტატისტიკის მიხედვით, საგზაო დარღვევების რიცხვი მზარდია, განსაკუთრებით კი იზრდება ისეთი უხეში დარღვევები როგორიცაა - საპირისპირო ზოლში მოძრაობა, გასწრების წესების დარღვევა, სიჩქარის გადაჭარბება და სხვა. ქულათა სისტემის რამდენიმეწლიანმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მისი ადმინისტრირების სირთულიდან გამომდინარე (საპატრულო პოლიციის მიერ ხდება ქულათა ჩამოკლება) უხეში დარღვევების აღკვეთა ვერ ხერხდება, შესაბამისად, მოქმედების შემდეგ ეტაპზე გადასვლაა საჭირო და ქულების ჩამოკლება უხეში დარღვევებისთვის ჭკვიანმა კამერებმა უნდა გააკონტროლონ. აღსანიშნავია, რომ სიჩქარის გადაჭარბება საქართველოში საგზაო შემთხვევის გამომწვევი ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია, ქალაქის გზებზე დაწესებული სიჩქარის ლიმიტები გადასახედია და დასაახლოვებელი ევროპულ სტანდარტებთან“, - ნათქვამია ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკაში, რომელიც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობას ასახავს რეგიონული დანაყოფების მიხედვით, კახეთის რეგიონში 2021 წლის განმავლობაში სულ 493 შემთხვევა დაფიქსირდა, დაიღუპა 65, ხოლო დაშავდა 685 ადამიანი. ავტოსაგზაო შემთხვევების ძირითადი მიზეზი შემხვედრ მოძრაობის ზოლში გადასვლა ან გასწრების წესების დარღვევაა. სატრანსპორტო საშუალებების ტიპი კი ძირითადად მსუბუქი ავტომანქანებია.

ავტომობილის მართვა საკმაოდ რისკის შემცველი საქმიანობაა, ავტო-საგზაო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ზარალდება არამხოლოდ მძღოლი ან მგზავრი, არამედ რიგითი ფეხით მოსიარულეც. 31 მარტს, თბილისში, შარტავას ქუჩაზე, ავტომანქანა 8 წლის ბავშვს დაეჯახა. „ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებულ 8 წლის ბიჭს მარჯვენა ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდა, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში განუცხადეს. როგორც კლინიკაში აცხადებენ, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. **„ამ ეტაპზე ოპერაციული ჩარევები დასრულებული არ არის. ისევ მიმდინარეობს. მენჯ-ბარძაყის ფიქსაცია ჩატარდა, მუცლის ღრუზე ჩატარდა ოპერაციული ჩარევა და ასევე, ახლა უროლოგიური ოპერაცია მიმდინარეობს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ჯერჯერობით უკიდურესად მძიმეა“,** - აცხადებენ კლინიკაში.

რა იწვევს ავტო-საგზაო შემთხვევებს? მიზეზი მრავალია, განსაკუთრებით ყურადსაღები კი შემდეგი ფაქტორებია: გადაჭარბებული სიჩქარე, ალკოჰოლის გავლენის ქვეშ ყოფნა, ცუდი ამინდი (თოვლი, წვიმა, ნისლი), საგზაო ნიშნების დაუმორჩილებლობა. ჩამოთვლილ ფაქტორებს არაერთი კამპანია თუ დამაჯარიმებელი ღონისძიება მიეძღვნა და არაერთი კვლევა ჩატარდა იმის გამოსავლენად თუ რამდენად დიდ გავლენას ახდენდა აღნიშნული ფაქტორები ავტო-საგზაო შემთხვევებზე. თუმცა, ნაკლები ყურადღება ექცევა კიდევ ერთ ფაქტორს, რომელიც არც თუ ისე უმნიშვნელოა. ეს არის მძღოლის ასაკი. ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა თინეიჯერ მძღოლთა რიცხოვნობა, ისევე როგორც ავტო-საგზაო შემთხვევების დროს გარდაცვლილ ახალგაზრდათა რაოდენობა. რატომ წარმოიქმნება ავტო-საგზაო შემთხვევის საფრთხე, როდესაც მძღოლი თინეიჯერია? გამოკვლევებმა ცხადყო, რომ თინეიჯერები მოზრდილი ასაკის მძღოლებთან შედარებით სათანადოდ ვერ აფასებენ ან არ ცნობენ სახიფათო სიტუაციებს, თინეიჯერები უფრო მიდრეკილნი არიან სიჩქარისკენ და სწრაფად ტარებისკენ, და უფრო იშვიათად ატარებენ უსაფრთხოების ღვედებს. მათ ასევე იტაცებთ ავტომობილის შესაძლებლობების გამოცდა და ნაკლებად ფიქრობენ საფრთხეზე. ყოველივე ზემოხსენებულს ემატება გამოცდილების ნაკლებობა, რაც კიდევ უფრო ზრდის არსებულ რისკს. ამერიკის საავტომობილო ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, თინეიჯერის მიერ ავარიაში მოხვედრის ალბათობა 4-ჯერ მეტია, ვიდრე ზრდასრული მძღოლის. ამასთანავე, თინეიჯერის მიერ ავტო-საგზაო შემთხვევის მოხდენის რისკი მნიშვნელოვნად მცირდება, თუ მისი მგზავრი 35 წელს გადაცილებულია, მაშინ როდესაც, ავტომობილში ახალგაზრდა მგზავრის არსებობა თინეიჯერის მიერ ავტო-საგზაო შემთხვევის მოხდენის შანსს 44%-ით ზრდის (ამის მიზეზი შესაძლოა იყოს თანატოლებთან თავის გამოჩენის სურვილი).

გასული წლების სტატისტიკის გათვალისწინებით ნათელია, რომ ავტო-საგაზაო შემთხვევების პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას ქართულ რეალობაში. სტატისტიკა მზარდია, მის შესამცირებლად გადასადგმელ ნაბიჯებს კი ქართული საზოგადოება კვლავაც მოთმინებით ელის.

შარტავას ქუჩაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

გააძლიერე ჩართულობა – შეცვალე ჩვევა !

29 მარტს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით, სასტუმრო ბორჯომი პალასში გაიმართა ღონისძიება საქართველო თამბაქოს კვამლის გარეშე. ეს დღე ყოველწლიურად სხვადასხვა პრიორიტეტული თემის გაცნობით აღინიშნება. წელს ის საზოგადოების ჩართულობას მიეძღვნა. საზოგადოების როლი და პოზიტიური გავლენა გადამწყვეტია თამბაქოს მოხმარების პრევენციისთვის.

▶ წელს ეს დღე რამდენიმე ღონისძიებით აღინიშნა, რომლებიც წლის შეჯამებას, ცვლილებების გაცნობას, სიტუაციის გაანალიზებასა და ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებას დაეთმო.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თამბაქოს კონტროლის ჯგუფი მედიისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს ესაუბრა განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, არსებულ გამოწვევებზე, ეფექტურ კომუნიკაციასა და მათი ჩართულობის აუცილებლობაზე.

სხვადასხა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა წარადგინეს მათ მიერ წარმატებით განხორციელებული ღონისძიებები, ვიზუალური მასალა, მიღწევები, ისაუბრეს არსებულ პრობლემებზე და სამომავლო გეგმებზე.

დედოფლისწყარო იმ 7 მუნიციპალიტეტს შორისაა, რომელიც შეუერთდა თამბაქოს მოხმარების პრევენციის ღონისძიებებს. მუნიციპალიტეტის თამბაქოს კოალიციამ ჩაატარა ბევრი ღონისძიება, სადაც ზრდასრულ ადამიანებთან ერთად ჩართულები იყვნენ მოზარდებიც.

ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა თამბაქოს მოხმარების პრევენციის კამპანია, ბავშვებმა მიიღეს ინფორმაცია თამბაქოს მავნებლობაზე და აქტიურად მონაწილეობდნენ დაგეგმილ ღონისძიებებში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ღონისძიებების პრეზენტაცია შორენა ღვინიაშვილმა წარადგინა. ის პროფესიით ექიმია და მოზარდების ინფორმირებულობის საკითხს დიდი ენთუზიაზმით შეუდგა. როგორც თავად ამბობს, კამპანიამ შედეგი გამოიღო. თუმცა, საბოლოო შედეგის მიღწევამდე ჯერ დიდი შრომაა გასაწევი.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში თამბაქოს მოხმარების პრევენციის მრავალი ღონისძიება ტარდება, საზოგადოების ქმედება გადამწყვეტია.

გააძლიერე ჩართულობა – შეცვალე ჩვევა! - ამ სლოგანით გაერთიანებულ საზოგადოებას შეუძლია შექმნას საქართველო თამბაქოს კვამლის გარეშე. პოზიტიური ცვლილებისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია თითოეული ადამიანის ჩართულობა, ინიციატივა და კანონის აღსრულება.

გვახსოვდეს, რომ თითოეული მოქალაქის ჩვევა ქმნის საზოგადოების ქმედებას.

„სამოქალაქო სექტორის აქტიური ნაწილისა და მედიის ერთობლივი ქმედებებითა და ძალისხმევით შესაძლებელია მოვახდინოთ პოზიტიური გავლენა თითოეულ ადამიანზე და შევცვალოთ მავნე ჩვევა. ეს უზრუნველყოფს ჯანსაღ გარემოს და მომავალი თაობების სწორ დამოკიდებულებას თამბაქოს მოხმარების მიმართ. ჩვენ ყველას ერთად შეგვიძლია შევქმნათ საქართველო თამბაქოს კვამლის გარეშე“-მიაჩნიათ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თამბაქოს კონტროლის ჯგუფის წარმომადგენლებს.

ინგა შიოლაშვილი

აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე

2 აპრილი აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეა! აუტიზმის სპექტრი პირველად 1943 წელს აღწერა ამერიკელმა ფსიქიატრმა კანერმა და ამ მდგომარეობას აუტიზმი უწოდა. აუტიზმი თავის ტვინის ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის უნარზე, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ზოგადი განვითარების პროცესებზე. ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

მეტყველების დარღვევა და მისი განვითარების შეფერხება (მეტყველების პრაგმატულო მხარე დარღვეულია კერძოდ: უჭირთ ჯერის დაცვა, ხტებიან ერთი თემიდან მეორეზე, იყენებენ კონტექსტიდან ამოვარდნილ ფრაზებს და სხვა.); კომუნიკაციის უნარის დარღვევა; სოციალური ინტერაქცია; შეზღუდული ინტერესები.

აუტიზმის მქონე ბავშვებს გარდა სოციალური, კომუნიკაციური (ვერბალური და არავერბალური) დარღვევებისა აღენიშნებათ ქცევითი სფეროს სირთულეები. ის რასაც ტიპური შემთხვევებისას ჩვეულებრივად ვაკეთებთ ამ დროს პრობლემური ხდება. მათთვის დამახასიათებელია სტერეოტიპული ქცევები ან რუტინა. (რუტინა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვისთვის შფოთვის მართვაში და მისმა დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი დისტრესი) ამიტომ არის მნიშვნელოვანი დავადგინოთ თუ რას ემსახურება ესა თუ ის ქცევა. ბავშვები იბადებიან აუტიზმით თუმცა მისი ნიშნებზე ყურადღების გამახვილება ხდება შედარებით გვიან დაახლოებით 2-3 წლიდან. მაშინ, როცა თვალსაჩინო ხდება ბავშვის მეტყველების განვითარებისა და სოციალური ურთიერთობების პრობლემები. ამ მდგომარეობით რჩება ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე.

გამოვლინების ხარისხის მიხედვით აუტიზმი მრავალფეროვანია. ყველაზე ძლიერ ფორმას ახასიათებს გარემოსთან კონტაქტის შეუძლებლობა, ყველაზე სუსტი ფორმა ჰგავს პიროვნულ აშლილობას ან დასწავლის უნარის დაქვეითებას. ამ მდგომარეობაზე უამრავი მითი არსებობს, რომლის რეალურ ვარიანტებსაც ახლა შემოგთავაზებთ:

•მითი: გაურბიან სოციალურ კონტაქტს.

რეალობა: ხშირად სურთ ვინმესთან დამეგობრება, თუმცა, ეს მათთვის ადვილი არ არის.

•მითი: არ აქვთ დამოუკიდებელი და წარმატებული ცხოვრება.

რეალობა: შესაბამისი განათლების მიცემით უმეტესობას შეუძლია საზოგადოებაში თავის წარატებით დამკვიდრება.

•მითი: აუტიზმი ცუდი აღზრდის შედეგია.

რეალობა: კვლევებიდან ჩანს, რომ აუტიზმი ცუდი აღზრდით არ არის გამოწვეული, არამედ იმით, თუ როგორ ვითარდება ბავშვის ტვინი დაბადებამდე.

•მითი: ყოველთვის აქვთ განსაკუთრებული ნიჭი და უნარები.

რელობა: აუტიზმის მქონე ბევრ ადამიანს აქვს ნორმალური და მაღალი ინტელექტის კოეფიციენტი. დადგენილია, რომ აუტისმის სპექტრის მქონე ადამიანების 10%-ს შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული შესაძლებლობები, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მუსიკა, ხელოვნება, მათემატიკა, მეხსიერება.

•მითი: აუტიზმი იკურნება.

რეალობა: ამჟამად, არ არსებობს დადასტურებული შემთხვევა. სპექტრის მქონე ინდივიდები ძალიან კარგად რეაგირებენ სტრუქტურულ ადრეულ ჩარევაზე, განათლებასა და პროფესიულ განლაგებაზე, რომლებიც ფოკუსირებულია აუტიზმის მქონე მოსწავლეების უნიკალურ სწავლებაზე.

•მითი: არ აქვთ თვალით კონტაქტი.

რეალობა: როდესაც სპექტრის მქონე ადამიანს აქვს კონტაქტი, არის მოდუნებული და თავდაჯერებული, თვალით კონტაქტი შეიძლება სპონტანურად მოხდეს.

•მითი: არ ახასიათებთ ემოციების გამოხატვა.

რეალობა: აუტიზმი ადამიანს არ ართმევს ემოციების გამოხატვის უნარს. ის უბრალოდ სხვადასხვა გზით გამოხატავს მას.

მონაზრება

გიორგი აბიათარი



ჩემო ერთადერთო საფიცარო შვილო, გიორგი. 5 აპრილს შენ 32 წლის გამიხდი. არადა, ეს საუფლო 18 წლისამ დატოვე. დატოვე დედა და ახლობლები, ვინც შენ გიყვარდა და შენი სიცოცხლე შესწირე სამშობლოს სიყვარულს. დედი, როგორი მწარეა ეხლა ჩემთვის ყოველი იმ სიმწარის გამეორება, რაც უკრაინაში ხდება. შენხელა ბიჭები როგორ იხოცებიან სამშობლოს დასაცავად. დედიკო, ძალიან მწარეა ყველა იმ სიმწარის გადატანა, უკრაინელი თუ რუსი ჯარისკაცის დედის ტკივილი. მე ხომ ეს 2008 წლის ომში გამოვცადე. დღეს შენ რომ ცოცხალი მყავდე, არ გაჩერდებოდი და იმ ქართველ ბიჭებს შეუერთდებოდი, რომლებიც უკრაინის თავისუფლებისათვის იბრძვიან. ჩემო სიცოცხლე, რა ფასი აქვს უშენოდ ჩემს ყოფნას. ძალიან მიჭირს, დედიკო, სხვის შვილებს და შვილიშვილებს რომ ვუყურებ. ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს ყველას. გული ძალიან მტკივა, რომ უშენოდ მოდის შენი დაბადების დღე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უკვდავი სული. ღმერთს ვთხოვ, რომ მალე შეგვახვედროს ერთმანეთს.

შენს გულზე დაყრილი მიწა ბუმბულად იქცეს, შენ რომ არ დაგამძიმოს. მე აქედან სანთელს და საკმეველს არ მოგაკლებ.

შენი დედა ლიზა აბიათარი და ახლობლები

გოდერძი აბულაშვილი და ეთერ ფიცხელაური ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ცისმარ, ავთანდილ ჯანაშვილებს და მათ ოჯახებს დედის, ღვაწლმოსილი პედაგოგის,

მერი თანდაშვილის

გარდაცვალების გამო.

სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები თამაზ ჯანიკაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ნანა აფციაური, ივერი ჭუჭულაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სამმართველოს ყოფილ უფროსს ავთანდილ ჯანაშვილს დედის ღვაწლმოსილი პედაგოგის

მერი თანდაშვილის

გარდაცვალების გამო.

სეილან, გელა, გოჩა ლაპიაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ნიაზი იაკობიშვილს მეუღლის, ნინოს მამის, თეას მამამთილის, გიორგის პაპის, ვანო შანშიაშვილს სიმამრის, მარი, ქეთი ნიკოლოზ შანშიაშვილებს პაპის

ჩიტო იაკობიშვილის

გარდაცვალების გამო.

მეზობლები: გოდერძი აბულაშვილი, გურამ ნატროშვილი, ვასილ აბულაშვილი, ოთარ კიკნაძე, ილია მჭედლიშვილი, ლია პოპიაშვილი, ვაჟა ნაროზაული ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მაკა, დავით, გოგი და რიტა გივიშვილებს მამისა და მძახლის

ივანე (ბაკო) შამანიძის

გარდაცვალების გამო.

სამშობლოდან სამშობლომდე...

24 თებერვალს რუსეთმა ფართომასშტაბიანი ომი უკრაინაში ცინიკური საბაბით დაიწყო-უკრაინელი ხალხის დაცვა სისხლისმსმელი რეჟიმისგან და ქვეყნის დენაციფიკაცია. რეალურად კი საბჭოთა ნოსტალგიით შეპყრობილმა რუსეთის პრეზიდენტმა ევროპაში იმ მასშტაბის კრიზისი გამოიწვია, რომელიც კონტინენტს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ უნახავს. მილიონობით უკრაინელი ლტოლვილად იქცა და უამრავი უკრაინელი ბავშვი, ქალი თუ მამაკაცი შეეწირა იმპერიალისტურ მიზნებს. უკრაინაში ჩარჩენილია ჩვენი ათასობით მოქალაქე. ამ ადამიანების ცხოვრება ომმა სრულიად შეცვალა. უკრაინელი ხალხის დახმარება ახლა მხოლოდ თავისუფალი სამყაროს სოლიდარობას და დახმარებას შეუძლია.

სუზანა ოსიპოვი დედოფლისწყაროდანაა. მან ათეულ წელზე მეტი გაატარა უკრაინაში, კერძოდ ქალაქ კიევში. უკრაინაში იპოვნა ადამიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, ცხოვრების მეგზური. დაოჯახდა. ჰყავს უკრაინელი მეუღლე და 6 წლის ქალიშვილი მარია. უკრაინა მისთვის, ფაქტობრივად, მეორე სამშობლო გახდა. კიევში ჰქონდა საყვარელი საქმე-სილამაზის სალონი, სადაც საკუთარ შრომასა და ენერგიას დებდა. სამწუხაროდ, იმის მიტოვება,რასაც წლების განმავლობაში აშენებდა, მოულოდნელად და გაუთვალისწინებლად მოუწია, უპირველესად შვილის და საკუთარი თავის დასაცავად. „24 თებერვლამდე ხალხში მუსირებდა აზრი იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იყო ომის დაწყება, მაგრამ მაინც ბოლომდე გვჯეროდა, რომ ამ ომს თავიდან ავიცილებდით. ომის დაწყებისთანავე წავედით სოფელში ჩემს დედამთილთან. ეს სოფელი 70 კილომეტრითაა დაშორებული კიევიდან. გარკვეული პერიოდი იქ გავჩერდით და შემდეგ მე და ჩემი შვილი წავედით ლვოვში. ორი დღე მოგვიწია გზაში ყოფნა, რადგან გადაადგილება მხოლოდ დღისით იყო შესაძლებელი. ლვოვიდან 100 კმ. რჩებოდა პოლონეთის საზღვრამდე. ეს ასი კილომეტრიც მშვიდობით გავიარეთ და ჩავედით პოლონეთში.“

პოლონეთი აღმოჩნდა იმ ქვეყნებიდან ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც უკრაინიდან მილიონობით ლტოლვილი მიიღო. საზღვარზე მოწყობილი ჰუმანიტარული დახმარების პუნქტები პირველად დახმარებას უწევდა ადგილზე მისულ ლტოლვილებს. აქედან ხდებოდა მათი გადანაწილება მთელი ქვეყნის მასშტაბით. სუზანაც სწორედ იმ მდგომარეობის შესახებ გვიყვება, რაც იქ ნახა. „თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ადამიანი იყო საზღვარზე. იმის შანსი, რომ მე იქ თავშესაფარი ვერ მეპოვა, იყო მაღალი. ამიტომ მივმართე საქართველოს საელჩოს პოლონეთში იმ იმედით, რომ დამეხმარებოდნენ მცირედით მაინც. არ შემიძლია, არ გამოვხატო ჩემი გულისტკივილი საელჩოს წარმომადგენლის დამოკიდებულებისადმი. ჩემი მრავალჯერადი მცდელობის მიუხედავად,პასუხად მივიღე მხოლოდ უარი და გარკვეული გაღიზიანებაც კი ჩემი თხოვნის გამო. მათი პასუხი ასეთი იყო: - თქვენნაირი ბევრია და ყველას ვერ დავეხმარებითო. და რომ არა აქაური და პოლონეთში მცხოვრები ქართველების გვერდში დგომა, არ ვიცი, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით მე და ჩემი შვილი. ფაქტი, როდესაც შენი ქვეყნის საელჩო (მე საქართველოს მოქალაქე ვარ), არ თუ ვერ გეხმარება, დამეთანხმებით, რომ ძალიან გულსატკენია. “

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, სუზანას, რა თქმა უნდა, სჭირდებოდა შემოსავალი, იმისათვის, რომ ეარსება. ამიტომ მშობლიურ დედოფლისწყაროში ჩამოსვლისას, მან აქტიურად დაიწყო საკუთარი პროფესიით სამსახურის ძებნა. სწორედ ამ ძიების პროცესში შეაღო სილამაზის სალონ „შვარცკოფის“ კარი. როგორც მისი დამსაქმებელი, ირმა შარმაზანაშვილი გვეუბნება, ადამიანური და მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო უარის თქმა. სალონში კადრი ნამდვილად ესაჭიროებოდა და გასაჭირში მყოფი თანამემამულის დახმარება საკუთარ მოქალაქეობრივ ვალადაც ჩათვალა. ასევე აღნიშნა, რომ სუზანას ეს სამსახური ექნება მანამდე, ვიდრე ის უკრაინაში არ დაბრუნდება.



მთელი მსოფლიო გაოცებულია უკრაინელი ხალხის ერთიანობით, პატრიოტიზმით, სიმამაცითა და თავდადებით. ჩვენი საუბრის დასასრულს, სუზანა სწორედ ამაზე გვესაუბრა.

„უკრაინელ ხალხში არის გამარჯვების ძალიან დიდი მუხტი. ისინი იბრძვიან საკუთარი თავისუფლებისა და წინსვლისთვის. ვერ ნახავთ უკრაინელს, რომელიც არ იყოს ჩართული ამ ბრძოლაში. ვისაც რა შეუძლია, იმით ცდილობს, დაუდგეს დანარჩენებს გვერდით. იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე დასრულდება ეს ყველაფერი და მე და მარია დავბრუნდებით ჩვენს მეორე სამშობლოში. თქვენი გაზეთის საშუალებით მსურს მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი მდგომარეობა და გამოგვიწოდა დახმარების ხელი. ამ სამყაროში არაფერი იკარგება. სიკეთეც და ბოროტებაც ყოველთვის ბუმერანგივით ბრუნდება უკან“.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა ბენაშვილი

„ომის გამო ღვინის ექსპორტი შემცირდება“

„რეალურად ძალიან დიდი გამოწვევის წინაშე დავდექით, რაც ღვინის ექსპორტის კლებაში აისახება“, - **ასე უპასუხა ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა** ლევან მეხუზლამ BM.GE-ის **მიერ ქართული ღვინის ექსპორტზე რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის შესახებ დასმულ შეკითხვას.**

სააგენტოს ხელმძღვანელმა ამ ეტაპზე რიცხვების დასახელებისგან თავი შეიკავა და თქვა, რომ უახლოეს დღეებში პირველი კვარტლის ღვინის ექსპორტის მაჩვენებლების შეჯერების შემდეგ სურათი უფრო ცხადი გახდება.

„გასულ წელს ექსპორტზე 100 მლნ ბოთლზე მეტი ღვინო გავიდა, რაც რეკორდული რაოდენობა იყო. ამიტომ საბოლოო ჯამში 2022 წელი ქართული ღვინისთვის გამოწვევებით აღსავსე და მტკივნეული წელი იქნება. რამდენიმე დღეში უკვე გავაანალიზებთ ომის გავლენის შედეგებს, რაც პირველი კვარტლის მაჩვენებლებში აისახება და შესაბამისად ზუსტ პროგნოზებს გავაკეთებთ, თუმცა ზოგადად ვფიქრობ, ღვინის ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდება“, - განაცხადა მეხუზლამ.

მისი ინფორმაციით, მარტში უკრაინაში გასაგები მიზეზების გამო ღვინის ექსპორტი სრულად შეწყდა, ხოლო ბელარუსის და რუსეთის მიმართულებით შემცირდა.

„მარტში უკრაინაში არც ერთი ბოთლის ექსპორტი არ განხორციელებულა, მკვეთრად არის შემცირებული ექსპორტი ბელარუსის და რუსეთის მიმართულებით, თუმცა გარკვეული აქტივობა ბოლო ორი ქვეყანაში ნარჩუნდება. ეს არსებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარეობს. კონტრაქტების დასრულების შემდეგ კომპანიები გადაწყვეტენ გააგრძელონ თუ არა რუსეთისა და ბელარუსის მიმართულებით ექსპორტი. ამ პირველი ტალღის შემდეგ ექსპორტი შეიძლება კიდევ უფრო მეტად შემცირდეს, რადგან შესაძლოა ახალი ვალდებულებების აღება აღარ მოხდეს“, - განმარტა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ.

ცნობისთვის: მიმდინარე წლის 2 თვეში საქართველომ 11.263 მლნ ლიტრი ღვინის ექსპორტით 33 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო. ქვეყნიდან გატანილი ღვინის მოცულობა აღემატება როგორც 2020-2021 წლების იანვარ-თებერვლის, ასევე პანდემიამდე არსებული ამავე პერიოდის მაჩვენებელს. (2019 წ. — 10.729 ლიტრი; 2020 წ. — 8.923 ლიტრი; 2021 წ. - 7.652 ლიტრი).

ყურადღება!

7 აპრილს 13:00 საათზე დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შშმ პირთა ფოტო-გამოფენა გაიხსნება.

„ჩვენ - 30 ამბავი“ მომზადდა პროექტის „ბავშვები სტერეოტიპებით არ იბადებიან“ ფარგლებში.

ლევან ხერხეულიძისა და არჩილ ქიქოძის ფოტოგამოფენა სიღნაღსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში მცხოვრები შშმ მოზარდების და ადამიანების ისტორიებს მოიცავს, რომელთა შესახებ ფოტო გამოფენა და წიგნი შვედური დაფინანსებით მომზადდა.

პროექტს ახორციელებს შვედური ორგანიზაცია „გლადა ჰუდიკ თეატრი“, მხარდამჭერია თემი „ქედელი“. გამოფენის გახსნის შემდგომ მოეწყობა შვედური ფილმის, „მოდის ჩვენება - გლადა ჰუდიკიდან ნიუ-იორკამდე“.

ღონისძიება იმართება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მხარდაჭერით. გამოფენა დედოფლისწყაროში თვის ბოლომდე დარჩება. დასწრება თავისუფალია.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 04.04	სამშაბათი 05.04	ოთხშაბათი 06.04	ხუთშაბათი 07.04	პარასკევი 08.04	შაბათი 09.04	კვირა 10.04
დღე	20°	16°	18°	18°	18°	16°	14°
ღამე	3°	6°	7°	7°	7°	5°	0°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.